



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 3

„30“ იანვარი 2015 წ.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1-ლი კლასის  
შენობა - ნაგებობათა ხაზობრივი ნაგებობების კერძოდ, IV და V კატეგორიის  
ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე 2 პუნქტის, „ნორმატიული  
აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, „მშენებლობის  
ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის  
2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის 4 ე პუნქტის შესაბამისად,  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“  
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის  
პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ I კლასს დაქვემდებარებულ შენობა  
- ნაგებობათა ხაზობრივი ნაგებობების კერძოდ, IV და V კატეგორიის ელექტროგადამცემი  
ხაზების მშენებლობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (შემდგომ  
ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე შესაძლებელია „მშენებლობის  
ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის  
2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66 ე მუხლით გათვალისწინებული  
პროცედურის დაცვით.

2. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ დადგენილების პირველი  
მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისა და ხაზობრივი ნაგებობების

მონტაჟის, ასევე საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურს.

3. ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ტერიტორია მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში. თუ სამუშაოთა სირთულის გამო ამ ვადაში შეუძლებელია გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურს წარუდგინოს მოტივირებული წერილობითი შეტყობინება სამუშაოების დამატებით არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში განხორციელების შესახებ.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი